

შოთა

დიდიგური

ბიბლიოგრაფია



Шота Варламович
ДЗИДЗИГУРИ
БИОБИБЛИОГРАФИЯ

«მეცნიერება»
«МЕЦНИЕРЕБА»



წ ო თ ა

ქ ი ძ ი გ უ ზ ი

ბიბლიოლოგია



გამომცემლობა < მეცნიერება >

თბილისი,

1988

Ш о т а

Д } и д } и г у რ ი

ბიბლიოგრაფია



Издательство «Мецниереба»

Тбилиси

1988

გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის შოთა ვარლამის ძე ძიძიგურას ბიო-ბიბლიოგრაფია მოიცავს 1924—1986 წწ. მასალას: სამეცნიერო შრომებს, რეცენზიებს მათზე, შ. ძიძიგურის რედაქციით გამოცემულ შრომებს და ლიტერატურას შ. ძიძიგურის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ცალკეა გამოყოფილი მეცნიერის დაბადების წლისთავები. ბიო-ბიბლიოგრაფიას წინ უძღვას შოთა ძიძიგურის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, აგრეთვე ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ერთვის პირთა და შრომების ანბანური საძიებლები.

Библиография видного грузинского языковеда Шота Варламовича Дзидзигури охватывает материалы за 1924—1986 гг.: научные труды, рецензии на них, труды, вышедшие под его редакцией, и литературу о Ш. В. Дзидзигури.

Материал расположен в хронологическо-алфавитном порядке. Отдельно выделены юбилейные даты. Библиографии предпослан краткий обзор научной и общественной деятельности, основные даты жизни и деятельности Ш. В. Дзидзигури. Прилагаются указатели: именной и трудов (алфавитный).

ბიო-ბიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: გ. ჯიბლაძე (მთ. რედაქტორი), ლ. გაბუნია, ა. ცაგარელი, ვ. გომელაური, გ. ციციშვილი, თ. ონიანი, მ. დარასელია, შ. ძიძიგური, ა. აფაქიძე, ჯ. ლომინაძე, ს. ხადური, ნ. გურგენიძე (მდივანი).

შემდგენელი: ვ. გოგოლაშვილი.

რედაქტორი: ს. ხადური.

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: ე. დოლიძე.

Главная редакционная коллегия библиографической серии: Г. Н. Джибладзе (гл. редактор), Л. К. Габуня, А. Л. Цагарели, В. И. Гомелаури, Г. В. Цицишвили, Т. Н. Ониани, М. К. Дараселиа, Ш. В. Дзидзигури, А. М. Апакидзе, Дж. Г. Ломинадзе, С. А. Хадური, Н. А. Гургенидзе (секретарь)

Составитель: В. Г. Гоголашвили.

Редактор: С. А. Хадური,

Библиографический редактор: Э. Г. Долидзе.

შოთა ძიძიგური

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის
მოკლე მიმოხილვა)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ შოთა ვარლამის ძე ძიძიგურმა მეცნიერული წრთობის სკოლა გაიარა ა. შანიძისა და გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით თბილისის უნივერსიტეტში, შემდგომ კი სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში (ლენინგრადი) ნ. მარის ხელმძღვანელობით.

შ. ძიძიგური დაიბადა 1911 წლის 15 აგვისტოს სოფელ მათხოჯში (ყოფილი ქუთაისის მაზრა, ახლანდელი წულუკიძის რაიონი) პედაგოგების ოჯახში. მამამისი ვარლამი ცნობილი მასწავლებელი, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი იყო.

1917 წელს შეიყვანეს მათხოჯის დაწყებით სკოლაში, შემდეგ სწავლობდა თბილისის მე-15 შრომის სკოლაში, რომელიც პირველი ხარისხის ატესტატით დაამთავრა 1927 წელს.

ჯერ კიდევ მოწაფეობისას დაიწყო შ. ძიძიგურმა თანამშრომლობა პრესაში. მისი პირველი წერილები (ასევე ლექსები) იბეჭდებოდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ყოველთვიურ გაზეთ „მოწაფის ხმაში“, აგრეთვე „ახალგაზრდა კომუნისტში“.

1927 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების დარგზე, მომდევნო წლიდან კი პარალელურად სწავლობდა საენათმეცნიერო დარგზეც. სტუდენტობის დროსვე ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. 1929 წელს „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება იმერული კილოს თავისებურებათა შესახებ, დამყარებული თავის მიერვე შეკრებილ საინტერესო დიალექტოლოგიურ მასალაზე.

1930 წლის დეკემბერში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რის შემდეგაც ერთხანს მუშაობდა გაზეთ „ნოიხი ლენინელის“ ლიტერატურულ რედაქტორად (სტილისტად).

1931 წელს შ. ძიძიგური სხვა ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებთან ერთად მიავლინეს ლენინგრადში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. ასპირანტურის კურსი გაიარა გამოჩენილი მეცნიერების — აკადემიკოსების ნიკო მარის, იური შეჩინოვის, ლევ შჩერბას და პროფესორ კარპეზ დონდუას ხელმძღვანელობით.

ასპირანტობის წლებში მონაწილეობდა აკადემიის მიერ მოწყობილ დიალექტოლოგიურ-ფოლკლორისტულ ექსპედიციებში: 1932 წელს — სამხრეთ საქართველოში (გიორგი წერეთელსა და სერგი ჯიქიასთან ერთად, რომლებიც იმ დროს ასევე ასპირანტურაში სწავლობდნენ ლენინგრადში), 1934 წელს — მთიულეთ-გუდამაყარში (ასპირანტ ელენე ვირსალაძესთან, გრიგოლ ჩხიკვაძესა და შალვა ხიდაშელთან ერთად).

1933—1935 წლებში კითხულობდა ქართული ენის კურსს ასპირანტებისათვის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში (ლენინგრადში).

1935 წელს ლენინგრადშივე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული დიალექტების კლასიფიკაციის ცდა“.

1936 წელს ახალგაზრდა მეცნიერი დაბრუნდა თბილისში და დაიწყო მუშაობა უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის დოცენტად და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ამ დროიდან მოკიდებული, შ. ძიძიგური კითხულობდა ლექციებს რესპუბლიკის პედაგოგიკის ინსტიტუტში. პარალელურად მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამეცნიერო პროპაგანდის განყოფილების გამგედ, ეურნალ „მნათობის“ მეცნიერების განყოფილების გამგედ.

1962 წელს შ. ძიძიგურმა დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „კავშირები ქართულ ენაში“. 1963 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. იმავე წელს აირჩიეს თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგედ. 1967—1983 წლებში განაგებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრას. ამჟამად ამ კათედრის პროფესორია.

1971 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1974 წელს კი ნამდვილ წევრად. იმავე წლიდან აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანია.

შ. ძიძიგური წლების განმავლობაში ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას: არის საზოგადოება „ცოდნის“ საკავშირო გამგეობის

წევრი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარე, ბასკური ენისა და კულტურის საზოგადოების თავმჯდომარე, იენის უნივერსიტეტისა (გდრ) და თბილისის უნივერსიტეტის ერთობლივი ეურნალის „ვეორგიკის“ რედაქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეურნალების „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ წელიწდეურლისა“ და „მაცნეს“ (ენისა და ლიტერატურის სერიის) რედაქტორის მოადგილე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედკოლეგიის წევრი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი და სხვ.

შ. ძიძიგური მწერალთა კავშირის წევრია; არჩეულია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობაში.

სკკპ წევრია 1947 წლიდან.

შ. ძიძიგურის თვალსაჩინო ამაგი სათანადოდ არის დაფასებული: ის დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მრავალი მედლითა და სიგელით, მათ შორის აკად. ივანე ჯავახიშვილისა და აკად. სერგეი ვავილოვის მედლებით. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

შ. ძიძიგური ავტორია მრავალი ნაშრომისა, რომელთაგანაც 30-ზე მეტი ცალკე წიგნებად არის გამოცემული, საერთოდ კი მისი გამოკვლევებისა და წერილების რაოდენობა ოთხ ასეულს აღემატება. ამ ნაშრომების თემატიკა ფართო და მრავალმხრივია. მათში გაშუქებულია ქართული ენის გრამატიკის, მისი ისტორიის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის, ონომასტიკის, აგრეთვე ზოგადი ენათმეცნიერების, ფოლკლორისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები.

1931 წელს ეურნალ „მნათობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა მისი პირველი წერილი „ქართული სალიტერატურო ენა“. იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა სახელმძღვანელო პროფაქტივის დაუსწრებელი კურსების მსმენელთათვის — „ქართული გრამატიკა პუნქტუაციითურთ“ (არნ. ჩიქობავას რედაქტორობით). ასე დაიწყო მეცნიერული მუშაობა ოცი წლის კაბუკმა.

სრულიად ახალგაზრდამ, 24 წლის ასაკში, მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მის სადისერტაციო ნაშრომს „ქართული ენის დიალექტების კლასიფიკაციის ცდა“ მაღალი შეფა-

სება მისცეს ოფიციალურმა ოპონენტებმა: ი. მეშჩანინოვმა, ა. შანიძემ, და კ. ღონღუამ.

დისერტაციის დაცვის წინ დაიბეჭდა მხოლოდ თეზისები ამ შრომისა, შემდგომში კი მისი ძირითადი ნაწილი, გადამუშავებული და შემოკლებული სახით, გამოქვეყნდა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ 1 ტომში (1946 წ.) სათაურით: „ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში“.

ნაშრომში დადგენილია, რომ ქართული ენის (ასევე ზანურის) ხუთი ხმოვანი ერთმანეთთან შეხვედრისას იძლევა 25 სხვადასხვა კომბინაციას, რომლებიც ხმოვანთა კომპლექსების სამ ძირითად ჯგუფს ქმნიან: „ერთია — კომპლექსები, სადაც უფრო ფართო ხმოვანს მოსდევს უფრო ვიწრო (ფართო + ვიწრო), მეორეა — კომპლექსები, რომლებშიაც უფრო ვიწროს მოსდევს უფრო ფართო ხმოვანი (ვიწრო + ფართო) და მესამე — კომპლექსები, სადაც თანაბარი ლიაობის ხმოვნებია; აქვე შემოვა იდენტური ხმოვნებიც, როგორც მკვლევარი შენიშნავს, ეს კლასიფიკაცია გარკვეულ ფონეტიკურ კანონზომიერებას ამჟღავნებს, რაც ქართული დიალექტების ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად გამოდგება.

პირველი რიგის კომპლექსებში (ფართო + ვიწრო) აღვალი აქვს რეგრესულ ასიმილაციას. ეს მოვლენა დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის და ზანურისათვის, აღმოსავლური კილოებიდან კი თუშურისათვის და ნაწილობრივ მოხეტრ-ფერეიდნულისათვის.

მეორე რიგის კომპლექსებში (ვიწრო + ფართო) წინამავალი ვიწრო ხმოვანი ფართოსთან მეზობლობაში კიდევ უფრო ვიწროვდება, ადგილი აქვს დისიმილაციის გზით დიფთონგიზაციისაკენ მისწრაფებას. ის დამახასიათებელია მთლიანად ქართული ენისათვის და ასევე ზანურისათვის.

მესამე რიგის კომპლექსებიდან იდენტური ხმოვნები ისწრაფვიან შერწყმისაკენ, ო ე ხმოვნები კი აღმოსავლურ და დასავლურ კილოებში სხვადასხვაგვარ ცვლილებებს განიცდიან, რაც იმის შედეგი უნდა იყოს, რომ დიალექტურად ისინი სხვადასხვა ლიაობისა არიან.

როგორც ირკვევა, ყველა რიგის ხმოვანთა კომპლექსი სხვადასხვა გზით ისწრაფვის ერთხმოვნობისაკენ. ქართული კილოები ამ პროცესის სხვადასხვა საფეხურზე დგანან.

დიალექტოლოგია საერთოდ შ. ძიმიჯურის მეცნიერული კვლევებიდან მნიშვნელოვანი უბანია. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ფართო საველე შემკრებლობითი მუშაობა, რასაც ის სისტემატურად ეწეოდა 1929 წლიდან, როცა ჯერ კიდევ სტუდენტმა მოიარა

აჭარისა (ქობულეთის რ.) და ქვემო იმერეთის (წულუკიძის რ.) სოფლები და შეკრიბა მეტად ფართო დიალექტოლოგიური მასალები.

1930 წელს შ. ძიძიგურმა მოიარა რაჭის უკიდურესი მთიანი სოფლები და ამ სოფლების მეტყველება ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყო „მთარაჭულის“ სახელწოდებით.

შემდგომში მკვლევარმა კიდევ უფრო გააფართოვა დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების საზღვრები და ადგილობრივ შეისწავლა მთელი რიგი ქართული დიალექტები.

შ. ძიძიგურმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა განიხილა აგრეთვე ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები (დასავლეთ-საქართველოს ისტორიული საბუთების ენის მიხედვით). მანვე პირველმა მოგვცა ქართული დიალექტოლოგიის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (თსუ შრომები, III, 1936).

დიალექტოლოგიური კვლევის შედეგები თავმოყრილია წიგნში „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“, რომელიც 1954 წელს გამოიცა.

რაც შეეხება მკვლევრის მიერ შეკრებილ დიალექტოლოგიურ მასალებს, ისინი გამოცემულია ორ დიდ ტომად: „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ“ (1955) და „ქართული დიალექტოლოგიის მასალები“ (1974).

მეცნიერის დიალექტოლოგიურ შტუდიებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც საკუთრივ ამა თუ იმ დიალექტის თავისებურებათა შესწავლისათვის, ისე ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის თვალსაზრისითაც.

შ. ძიძიგურმა პირველმა მიაქცია ყურადღება ჩრდ. კავკასიის ნართული ეპოსის კვალს ქართულ ფოლკლორში და ჯერ კიდევ 1944 წელს მიუძღვნა ამ საკითხს საგანგებო გამოკვლევა, 1971 წელს კი ცალკე წიგნად გამოსცა შემაჯამებელი ნაშრომი ამ თემაზე: „Грузинские варианты нартского эпоса (исследование, тексты)“.

შ. ძიძიგური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, მწერლის ენისა და სტილის საკითხებს. მეცნიერული ძიებანი ამ სფეროში თავმოყრილია წიგნში „ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა“, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ქართველ მწერალთა ენის საკითხებით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი.

მკვლევარმა გარკვეული ენობრივი დასაბუთება მოუძებნა იმ ფაქტს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში ორგანულადაა შერწყმული აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული ენობრივი ფორმები და ლექსიკური ერთეულები. მისი დასკვნით, „ამის გასაღებს იძლევა

სამხრეთ საქართველოს დიალექტური წრე — მესხური მეტყველება, რომელიც სტრუქტურულად აერთიანებს ჩვენი ენის შინაგან განშტოებებს... ამიტომ საფიქრებელია, რომ რუსთაველის ენას ასაზრდოებს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სამხრეთ საქართველოს მეტყველება“.

ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემის განხილვისას მკვლევარმა უარყო ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გაბატონებული აზრი, თითქოს ვაჟა თავის ლექსებსა და პოემებს ფშაურ კილოზე წერდა და სალიტერატურო ენის ნაცვლად დიალექტის გაბატონებას ცდილობდა მწერლობაში. მან დაასაბუთა, რომ ვაჟას პოეტური მეტყველებაც თავის არსებით ნაწილში სალიტერატურო ენას ეყრდნობა, ხოლო დიალექტიზმებს მის ნაწერებში სტილისტური ფუნქცია აკისრია.

შ. ძიძიგურმა მოიძია და შეისწავლა დიდი ილიას მიერ შეგროვილი სალექსიკონო მასალის ფრაგმენტები, დაადგინა ამ მასალის წყაროები და გაარკვია მისი მნიშვნელობა ქართული ლექსიკოლოგიის ისტორიისათვის. მასვე ეკუთვნის ალ. ყაზბეგის ლექსიკონი, რომელიც პირველად დაერთო მწერლის თხზულებათა ხუთტომიან აკადემიურ გამოცემას, შემდეგ კი სხვა გამოცემებსაც.

გარდა კლასიკოსების ენის ანალიზისა, მკვლევარს მოეპოვება საინტერესო დაკვირვებანი თანამედროვე ქართველ მწერალთა ენაზე, სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია წერილები: „ახალი სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის“, „დრამატული ნაწარმოების ენა“, „თავაზიანი მიმართვის ფორმები ქართულში“, „ირიბი მეტყველების დასაცავად“ და სხვანი.

მასვე ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან, სადაც განხილულია XIX საუკუნის ქართველ მწერალთა და მეცნიერთა შეხედულებანი ასეთ საკითხებზე.

საერთოდ, ენის სიწმინდის დაცვას, სალიტერატურო ენის ნორმების მოწესრიგებასა და დანერგვას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შ. ძიძიგურის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ის არის ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი.

მკვლევარის ალღოსა და ქართული ლექსიკის სიმდიდრისათვის ზრუნვის დასახასიათებლად საინტერესოა ასეთი ფაქტა: ქართულში გაგონილი, თითქმის დავიწყებული, სიტყვა „შინაბერა“ მან შესთავაზა ჩვენს სახელოვან მწერალს კ. გამსახურდიას, რომლის მეოხებითაც ეს მოხდენილი სიტყვა დღეს სალიტერატურო ენაში უკვე მტკიცედ არის დამკვიდრებული.

როგორც ენათმეცნიერი, ისე ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტით საინტერესოა გამოკვლევა „ცნება სინონიმური პარალელისა“ (სმამ, II, 1941), სადაც პირველად არის ახსნალი სინონიმურ წყვილთა ერთი რიგის წარმოშობის მიზეზები.

პოეტიკურ და ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში სინონიმურ სიტყვათა პარალელური ხმარება გაგებულა როგორც ერთგვარი სტილისტიკური ხერხი, პოეტური ფიგურა. შ. ძიძიგურმა ცხადყო, რომ ასეთი გაგება მხოლოდ გარკვეული შემთხვევების ასახსნელად გამოდგება, სპეციალურ შემთხვევებში კი სინონიმთა ხმარებას „რაციონალური საწყისი“ აქვს და უცხო სიტყვის დანერგვის მეთოდად არის გამოყენებული. ამის შესაბამისად შ. ძიძიგურმა დაადგინა ცნება „სინონიმური პარალელიზმისა“.

მსგავსად „სინონიმური პარალელიზმისა“ შ. ძიძიგურმა პირველმა აქცია სპეციალური შესწავლის საგნად წინადადების თავისებურ კონსტრუქცია, რომლის აღსანიშნავადაც მანვე შემოიღო ტერმინი „მასდარული კონსტრუქცია“. გამოკვლევა ამ საკითხზე წაკითხული იყო მოხსენების სახით 1942 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტში. აღნიშნული გამოკვლევა დაიბეჭდა შედარებით გვიან, 1966 წელს.

გამოკვლევა ეხება წინადადების გარკვეულ ტიპს, რომელიც დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის („მივიდა ხილვად საფლავისა მის“; „დასხდეს სერობად“; „ბრძანა შენებად იგი“; „ვითხოვთ მონიჭებად წყალობამ“ სხვ.). ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი ზოგან მიზნის გარემოებად წარმოგვიდგება, ზოგან კი დამატებად. ამასთან პირველს (დასხდეს ჭამად) მკვლევარი „გარემოების-მასდარულ კონსტრუქციას“ უწოდებს, მეორეს კი („ბრძანა შენებად“) — „დამატებით-მასდარულ კონსტრუქციას“.

აღსაგობის მიხედვით მასდარული კონსტრუქცია მარტივი წინადადებაა, მაგრამ ამავე დროს, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, განსხვავდება ჩვეულებრივი ტიპის მარტივი წინადადებისაგან: იგი რთული წინადადების ფუნქციას ასრულებს, სადაც მასდარი დამოკიდებული წინადადების როლში გამოდის.

ძველი ქართული ტექსტების სხვადასხვა რედაქციათა შედარების საფუძველზე მიღებულია დასკვნა: მასდარული კონსტრუქცია და ქვეწყობის კონსტრუქცია მონაცვლეობენ, ისინი ფაქულტატური ფორმებია, ერთმანეთისაგან იმიჯნებიან სტილისტური სხვაობის საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით დგება მასდარული კონსტრუქციისა და ქვეწყობის კონსტრუქციის ისტორიული თანამიმართებას საკითხი.

თითქოს შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქვეყნობა მასდარული კონსტრუქციიდან მომდინარეობს, მაგრამ მკვლევარი სავსებით მართებულად თავს იკავებს ასეთი დასკვნისაგან და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქვეყნობასა და მასდარულ კონსტრუქციას აქვთ ერთი საწყისი — თანწყობის კონსტრუქცია, საიდანაც ერთი მხრით ვლდებულობთ ქვეყნობას, მეორე მხრით კი — მასდარულ კონსტრუქციას.

ენის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „კავშირები ქართულ ენაში“, რომელშიაც მონოგრაფიულად არის განხილული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა.

აქად ა. შანიძე წერდა: „ავტორმა ამ ნაშრომში მიზნად დაისახა, ეჩვენებინა კავშირები ქართულში სალიტერატურო ენას ძველებსა და თანამედროვე ცოცხალი მეტყველების მიხედვით, გამოეყლინა მათი ფუნქციები, ურთიერთდამოკიდებულება, მორფოლოგიური შედგენილობა და, ამასთანავე ერთად, ნათელყო, თუ რას გვეუბნება კავშირების სემანტიკურ-მორფოლოგიური ანალიზი ქართული რთული წინადადების ისტორიისათვის. ავტორმა სათანადო მასალის შესწავლასა და დამუშავებას წლები მოანდომა და ნაყოფიც ჩინებული მიიღო: ვერც ერთი სპეციალისტი, რომელიც ქართული სინტაქსის საკითხებს იკვლევს, გვერდს ვერ აუვლის შ. ძიძიგურის წიგნს, რომელიც მას უთუოდ დაეხმარება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქართული სინტაქსის საკითხები ნაკლებადაა დამუშავებული, უნდა ვთქვათ, რომ ეს წიგნი უთუოდ კარგი შენაძენია მეცნიერებისათვის და თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართულ-გრამატიკულ ლიტერატურაში“. აქად. თ. გამყრელიძის აზრით, „ეს ნაშრომი შესანიშნავად ეხმარება თანამედროვე თეორიულ ენათმეცნიერებაში სინტაქსურ-სემანტიკური პრობლემათიკისადმი გაზრდილ ინტერესს“.

როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, ის საკითხებზე, რომელთაც ხსენებული მონოგრაფია მიეძღვნა, ენათმეცნიერებაში საერთოდ არ ყოფილა სათანადო სიღრმით დამუშავებული. „რამდენადმე სქემატურია და პირობითი რთული წინადადების დაყოფა ქვეყნობისა და თანწყობის კონსტრუქციებად. ამ ცნებათა შინაარსი არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული, არ არის მკაფიოდ გამიჯნული პიპიტაქს-პარატაქსის საზღვრები. ტრადიციულმა მეცნიერებამ გვიანდერდა რთული წინადადების ნაწილების მთავარი და დამოკიდებული წინადადებების — კლასიფიკაცია, აგებული ლოგიკურ-სემანტიკურ თვალსაზრისზე, ხოლო რთული წინადადების გრამატიკული სტრუქ-

ტურის კვლევა-ძიებას, მისი კონსტრუქციული ელემენტების გამოვლენას მკვლევარები დიდი გულისყურით არ ეკიდებოდნენ“.

ქართული წინადადების აგებულების, მისი კონსტრუქციული ელემენტების შესწავლისათვის ავტორმა მიზნად დაისახა კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების (ე. წ. მიმართებითი ნაცვალსახელისა და მიმართებითი ზმნიზედის) ბუნების გარკვევა. მათი ფუნქციური, სემანტიკური და მორფოლოგიური (ეტიმოლოგიური) ანალიზი. შრომაში გარკვეულია თვითთველი კავშირის ფუნქცია სალიტერატურო ენის საფუძვრების მიხედვით, ასევე დიალექტების მიხედვით, და დადგენილია მათი გავრცელების არე და ხვედრითი წონა; ნაჩვენებია, თუ რომელი კავშირი გაქრა ენის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, რომელი გაჩნდა და, ამრიგად, მოხაზულია მათი წარმოქმნის ქრონოლოგიური საზღვრები.

ნაშრომში ცალკე თავი აქვს დათმობილი კავშირისა და შემასმენლის თანამიმართების საკითხებს. დადგენილია გარკვეული კანონზომიერებანი, თუ რომელ კავშირს რომელ მწკრივში და რომელ კილოში შეეხამება ზმნა-შემასმენელი.

მორფოლოგიური ანალიზის შედეგად გარკვეულია, რომ „ქართულ ენაში ზოგი კავშირი ნაცვალსახელურ-ზმნიზედური წარმოშობისაა, ზოგი თავის სათავეებს ნაწილაკებში პოულობს და ზოგსაც ზმნური საწყისები აქვს“.

ცალკე არის განხილული კავშირთა სემანტიკურ-ფუნქციური თანამიმართება. ფუნქციური ანალიზის დროს ავტორი აღგენს, რომ ერთი და იგივე კავშირი ხშირად წინადადების სხვადასხვა კონსტრუქციაში მონაწილეობს, სხვადასხვა სემანტიკა აქვს, სხვადასხვა ტიპოლოგიის კავშირია. პოლისემანტიზმის ძირითადი ფაქტორთაგანია ერთი ყალიბის კავშირისაგან მეორე ყალიბის კავშირის განვითარება, რაც ლოგიკურ საფუძველზეა აგებული და გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება.

კავშირების ბუნების გარკვევამ შინაგანი აუცილებლობით მოითხოვა რთული წინადადების ზოგიერთი კონსტრუქციული ელემენტის კვლევა-ძიება, კერძოდ, ქვეწყობის გენეზისის საკითხის განხილვა. მიღებულია დასკვნა, რომ ქართულ ენაში ქვეწყობის კონსტრუქცია თანწყობის კონსტრუქციიდან მომდინარეობს.

ნაშრომში ნათლად არის ნაჩვენები, რომ ქვეწყობის კონსტრუქცია უძველესი პერიოდის (V—VI სს.) სალიტერატურო ქართულში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და სინტაქსურ ნორმას წარმოადგენს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამწერლობო ენას იმ დროისათვის

უკვე ხანგრძლივი ტრადიციები ჰქონდა. ამრიგად, სალიტერატურო ქართულის ღრმა ისტორიული ფესვების დამადასტურებელ პალეოგრაფიულ და სტილისტიკურ კრიტერიუმებს გრამატიკული მონაცემებიც მხარს უჭერს და ასაბუთებს.

ქართველურ ენათა ისტორიის, მათი ურთიერთობისა და სხვა ენებთან კონტაქტების თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია შ. ძიძიგურის ეტიმოლოგიური კვლევა-ძიება, რომლის ზოგიერთი ნიმუშიც ზემოთ იყო დასახელებული. დამატებით აქ უნდა მოვიხსენიოთ ძიებანი ოსურ-ქართული ლექსიკური ურთიერთობის სუეროდან და ნართული ეპოსის საკუთარ სახელთა გამოვლენა მთარაჭულში („ნართული ეპოსის ქართული ვარიანტები ოსურ-ქართულის ლექსიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებით“: სმამ, V, № 10, 1944), მეგრული სუფიქსის კვალის ძიება ქართულში (იკე, I, 1946) და სხვ.

მკვლევარმა მთარაჭულში დაადასტურა ნართული ეპოსის ვარიანტები და მის გმირთა სახელები, როგორცაა: ორიზბუგი, ბათირბეგი, ბათოყა, ბათუყო, სოსუანი, სოსურანი (იგივე სოსლანი), სიბრიზი, გენჯე, სათანამ, შავამ და სხვანი.

ნართული ონომასტიკის ეტიმოლოგიურმა კვლევამ ცნობილი საბჭოთა ენათმეცნიერი პროფ. ვ. აბაევი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ეს ეპოსი ერთი ეთნიკური ერთეულის — ალანთა ანუ ოსთა წიაღში წარმოიშვა და იქიდან გავრცელდა კავკასიის სხვადასხვა ხალხში. მთარაჭული ონომასტიკაც ოსურთან კავშირზე მიგვანიშნებს. ამასთან დაკავშირებით შ. ძიძიგური ყურადღებას ამახვილებს სხვა საინტერესო ლინგვისტურ და ფოლკლორულ მონაცემებზე.

მკვლევრის დაკვირვებით, მთარაჭულში ოსურიდან არის შესული ისეთი მნიშვნელოვანი ცნების გამომხატველი სიტყვა, როგორცაა „ნახშობა“ („ლაპარაკი“, „საუბარი“). აქედან ნაწარმოებია „სანახშო“, რაც სოფელში თავშესაყარ, სამასლაათო ადგილს ეწოდება; მთარაჭულს ოსურიდან შეუთვისებია აგრეთვე ისეთი ტერმინები როგორცაა „დურო (დუროიანი სახლი)“, „გვინოლი“, „იამანი“, „თალაყაური“, „ჯიკა“, „ქარჯინა“, „მუჯირა“. ზოგი ამათვანი ქართულში დასტურდება უფრო არქაული ფორმით, ვიდრე დღეს არის ოსურში. აქედან აშკარაა მათი მნიშვნელობა ოსური ენის ისტორიის თვალსაზრისითაც.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია შ. ძიძიგურის ნაშრომი „ქართული ენა“, რომელიც რუსულ და რამდენიმე ევროპულ ენაზე გამოიცა. მასში მოცემულია ძირითადი და არსებითი ცნობები ქართული ენის შესახებ, სხარტად და გასაგებად არის დახასიათებული მისი

სტრუქტურა, განვითარების გზა, შესწავლის ისტორია. ამ წიგნმა პირველი პრემია დაიმსახურა საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში. მას რეცენზიები უძღვნეს ცნობილმა უცხოელმა ქართველოლოგებმა: რ. ლაფონმა, ე. ბუიონმა, რ. გრულიხმა, ჰ. ფენრიხმა და სხვებმა.

შ. ძიძიგურიამ რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ბასკური და კავკასიური ენების ურთიერთობის პრობლემას, რომელიც დიდი ხანია ცხოველ ინტერესს იწვევს. მისი პირველი წერილი ამ თემაზე „საქართველო და ესპანეთის იბერია“ დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ 1937 წელს. ორმოცი წლის შემდეგ, 1977 წლის ივლისში, მკვლევარს პირველად მიეცა შესაძლებლობა მოხვედრილიყო ბასკეთში როგორც საბჭოთა დელეგაციის მცირერიცხოვანი დელეგაციის მეთაური. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გადმოცემულია წიგნში „მოგზაურობა ბასკეთში“. აქ ავტორი არ იფარგლება მარტო მოგზაურობის აღწერით და ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის ბასკების ენის, კულტურის, ისტორიის საკითხებზე. მაგრამ ამ მხრივ გაცილებით სრული და მნიშვნელოვანია წიგნები: „ბასკები და ქართველები“ და „ბასკურ-კავკასიური პრობლემა“. ამ წიგნებში მიმოხილულია აღმოსავლეთის იბერების (ქართველების) და დასავლეთის იბერების (ბასკების) შესახებ არსებული ისტორიული ცნობები და მეცნიერული შეხედულებანი, დახასიათებულია ბასკების ისტორია, კულტურა და ენა, განსაკუთრებით დაწვრილებით კი განხილულია ბასკური ენისა და იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემა. წიგნი დაიბეჭდა ესპანეთშიც, ითარგმნა ფრანგულადაც.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ შ. ძიძიგური არის ქართული ენათმეცნიერების მონაპოვართა დაუცხრომელი პროპაგანდისტი. მის კალამს ეკუთვნის ფართო ერუდიციითა და ამავე დროს მიმზიდველად დაწერილი მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომები: „დამწერლობის წარმოშობა და განვითარება“ (1958 წ.), „საენათმეცნიერო საუბრები“ (1960 წ.), „ქართული ენის თავგადასავალი“ (1969 წ., 1973 წ.). აქვე აღსანიშნავია მონოგრაფიები ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებზე — ნიკო მარზე, აკაკი შანიძეზე, გიორგი ახვლედიანზე.

შ. ძიძიგურის ცალკეული ნაშრომები გამოქვეყნებულია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ ენებზე. თვითონ მას არაერთი მოხსენება აქვს წაკითხული საზღვარგარეთ (გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრან-

გეთში, ესპანეთში). მისი მეცნიერული კონსულტაციებით ამირად სარგებლობენ როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი კოლეგები. მის მოწაფეთა შორის ბევრი უკვე ცნობილი მეცნიერია.

სოლიდური ასაკის მიუხედავად, პირად ცხოვრებაში შ. ძიძიგური მუდამ ხალისიანია, ენერგიით სავსე და ახალი საქმის წამოსაწყებად შემართული. იმედია, ის კიდევ ბევრი ნაშრომით გაამდიდრებს ჩვენს მეცნიერებას და წარმატებით დააგვირგვინებს არაერთ მნიშვნელოვან საქმეს.

პროფ. შ. კუმბურიძე

ШОТА ВАРЛАМОВИЧ ДЗИДЗИГУРИ

(Краткий обзор научной и общественной деятельности)

Академик Академии наук Грузинской ССР, профессор Тбилисского государственного университета, заслуженный деятель науки Шота Варламович Дзидзигури, прошел школу научной закалки в Тбилисском университете под руководством А. Шанидзе и Г. Ахвледiani, а затем в аспирантуре Академии наук СССР (Ленинград) под руководством Н. Марра.

Ш. В. Дзидзигури родился 15 августа 1911 года в сел. Матходжи (быв. Кутаисской губ., ныне Цулукидзеvского района) в семье педагогов. Отец, Варлам Дзидзигури, был известным педагогом, автором школьных учебников.

В 1917 году мальчика отдали в Матходжскую начальную школу, а затем учебу продолжил в Тбилисской 15-ой школе, которую в 1927 г. закончил с аттестатом первой степени.

Будучи еще учеником, Ш. В. Дзидзигури начал сотрудничать в ежемесячной газете Народного комиссариата просвещения «Моцалис хма» («Голос ученика»), а также в газ. «Ахалгазрда комунисти».

В 1927 г. Ш. В. Дзидзигури поступил на отделение словесности педагогического факультета Тбилисского государственного университета и параллельно занимался в языковедческом отделении. Студентом он включился в научную работу.

В 1929 году на публичном заседании «Грузинского лингвистического общества» прочитал доклад об особенностях имеретинского говора на основании собранного им интересного диалектического материала.

В 1930 году окончил Тбилисский государственный университет и некоторое время работал литературным редактором (стилистом) газ. «Норчи ленинели» («Юный ленинец»).

В 1931 году Ш. В. Дзидзигури был направлен в аспирантуру АН СССР в Ленинград. Курс аспирантуры прошел под руководством выдающихся ученых — академиков Н. Я. Марра, И. И. Мещанинова, Л. В. Щербы, проф. К. Д. Дондуа и др.

В бытность в аспирантуре участвовал в организованных Академией диалектолого-фольклористических экспедициях: в

1932 году — в Южную Грузию (вместе с Г. Церетели и С. Джикиа, проходившими в то же время курс аспирантуры в Ленинграде), в 1934 году — в Мтиулет и Гудамакари (вместе с аспирантами Е. Вирсаладзе, Г. Чхиквадзе и Ш. Хидашели).

В 1933—1935 г. читал курс грузинского языка аспирантам в Институте языка и мышления (в Ленинграде).

В 1935 году в Ленинграде успешно защитил кандидатскую диссертацию на тему «Опыт классификации грузинских диалектов».

В 1936 году возвратился в Тбилиси и начал работать доцентом кафедры грузинского языка Тбилисского университета и старшим научным сотрудником Грузинского филиала АН СССР. С этого времени Ш. В. Дзидзигури работал в ряде учебных заведений и научных учреждений: читал лекции в ВУЗ-ах Грузии, был заведующим Отделом научной пропаганды президиума АН ГССР, заведующим научным отделом журн. «Мнатоби» и т. д.

В 1962 году Ш. В. Дзидзигури защитил диссертацию на соискание ученой степени доктора филологических наук на тему «Союзы в грузинском языке». В 1963 году ему присвоено звание профессора. В том же году избирается заведующим кафедрой грузинского языка Тбилисского гос. педагогического института им. А. С. Пушкина.

В 1967—1983 гг. заведовал кафедрой нового грузинского языка Тбилисского государственного университета, профессором которой он по сей день является.

В 1971 году Ш. В. Дзидзигури избирается членом-корреспондентом, а в 1974 году — действительным членом АН ГССР. С этого же времени является членом Президиума и академиком-секретарем Отделения языка и литературы АН ГССР.

На протяжении ряда лет Ш. В. Дзидзигури ведет активную общественную работу: является председателем правления Тбилисского отделения общества «Знание» и членом Всесоюзного правления общества «Знание» СССР; председателем специализированного совета по присуждению ученых степеней Тбилисского государственного университета; председателем Комиссии по источникам истории Грузии; председателем Общества баскского языка и культуры; редактором совместного журнала Йенского (ГДР) и Тбилисского университета «Георгика» («Georgica»); заместителем редактора всесоюзного «Ежегодника иберийско-кавказского языкознания» и «Вестника» (серия языка и литературы) АН ГССР; членом редколлегии «Грузинской совет-

ской энциклопедии» и председателем Совета языкознания; членом комиссии по установлению академического текста «Витязя в тигровой шкуре»; членом «Постоянной государственной комиссии по установлению норм грузинского литературного языка» и др.

Ш. В. Дзидзигури является членом Союза писателей Грузии и избран в состав его правления.

Является членом КПСС с 1947 года.

Заслуги Ш. В. Дзидзигури оценены должным образом: он награжден орденами Октябрьской революции, Трудового Красного знамени, многими медалями и грамотами, в том числе медалями акад. И. А. Джавахишвили и акад. С. И. Гавилова, Ш. В. Дзидзигури присвоено звание заслуженного деятеля науки Грузинской ССР.

Ш. В. Дзидзигури — автор многих работ, из коих 30 изданы отдельными книгами, а общее количество его исследований и статей превышает 400 наименований. В них освещаются вопросы грамматики, истории, диалектологии, лексикологии и лексикографии, ономастики грузинского языка, а также вопросы общего языкознания, фольклористики, литературоведения.

В 1931 году на страницах журн. «Мнатоби» опубликована его статья «Грузинский литературный язык». В том же году вышел его учебник «Грузинская грамматика с пунктуацией» (под ред. А. С. Чикобава) для слушателей заочных курсов профактива. Так начинал свою научную деятельность двадцатилетний молодой человек.

В 24 года он стал кандидатом филологических наук. Официальные оппоненты И. И. Мещанинов, А. Г. Шанидзе и К. Д. Дондуа дали высокую оценку его работе «Опыт классификации диалектов грузинского языка».

Перед защитой были опубликованы только тезисы этой работы (отдельное издание: Ленинград, 1935, ред. И. Мещанинов), а позднее в I-м томе «Иберийско-кавказского языкознания» за 1946 г. была напечатана основная часть, переработанная и в сокращенном виде, под заглавием «Общая основа фонетических процессов комплексов гласных в диалектах грузинского языка и в занском».

В работе установлено, что пять гласных грузинского (а также занского) в сочетании друг с другом дают 25 разных комбинаций, создающих три основные группы комплексов гласных: «во-первых, комплексы, где за более широким гласным следует более узкий (широкий+узкий); во-вторых, — комплексы, где за более узким следует более широкий (узкий+широкий) и, в-третьих, — комплексы с гласными одинаковой открытости, сюда же относятся

идентичные гласные». Как замечает исследователь, эта классификация обнаруживает определенную фонетическую закономерность, могущую быть признанной одним из классификационных признаков грузинских диалектов.

В комплексах первого типа (широкий+узкий) имеет место регрессивная ассимиляция. Это явление характерно для западных диалектов и занского, а из восточных диалектов — для тушинского и отчасти мохевско-ферейданского.

В комплексах второго типа (узкий+широкий) предшествующий узкий гласный в соседстве с широким еще больше сужается, имеет место стремление к дифтонгизации через диссимиляцию. Это характерно для грузинского языка в целом и для занского.

Из комплексов третьего типа идентичные гласные стремятся к слиянию, гласные же *о* *е* в восточных и западных говорах претерпевают различные изменения, что должно быть следствием того, что диалектологически они разной открытости.

Выясняется, что комплексы гласных всех типов разными путями стремятся к моногласности. Грузинские говоры стоят на разных ступенях этого процесса.

Вообще диалектология является важной областью научных изысканий Ш. В. Дзидзигури. В этом отношении следует в первую очередь отметить широкую полевою собирательскую работу, чем Ш. В. Дзидзигури занимался с 1929 года, когда, еще студентом, он обошел села Аджарии (Кобулетский р-н) и нижней Имеретии (Цулукидзеvский р-н) и собрал весьма ценный диалектологический материал.

В 1930 году Ш. В. Дзидзигури обошел окраинные горные села Рачи, выделив говор этих сел в отдельную диалектологическую единицу под названием «торнорачинской».

В дальнейшем исследователь еще более расширил границы диалектологических изысканий и на местах изучил ряд грузинских диалектов.

Ш. В. Дзидзигури один из первых рассмотрел вопросы грузинской исторической диалектологии (по данным языка исторических документов Западной Грузии). Он же первый дал краткий обзор истории грузинской диалектологии (Труды ТГУ, III, 1936).

Результаты диалектологических исследований собраны в книге «Разыскания по грузинской диалектологии», изданной в 1954 году. Она предназначена в качестве учебного пособия для студентов университета и педагогических институтов.

Что же касается собранных исследователем диалектологических материалов, то они изданы в двух томах: «Хрестоматия грузинских диалектов со словарем» (1955) и «Материалы по грузинской диалектологии» (1974).

Диалектологические штудии ученого имеют большое значение как для изучения особенностей того или другого диалекта, так и для сравнительно-исторического исследования картвельских языков.

Ш. В. Дзидзигури первый обратил внимание на след нартекского эпоса в грузинском фольклоре и еще в 1944 году обратил к этому вопросу специальное исследование, а в 1971 году отдельной книжкой опубликовал итоговую работу на тему «Грузинские варианты нартекского эпоса (Исследование, тексты)».

Ш. В. Дзидзигури уделяет особое внимание вопросам нормализации грузинского литературного языка, языка и стиля писателя.

Ш. В. Дзидзигури нашел определенное языковое обоснование тому факту, что в языке «Витязя в тигровой шкуре» органически слиты восточно-грузинские и западно-грузинские языковые формы и лексические единицы. Согласно его заключению, «ключ к этому дает диалектный ареал Южной Грузии — месхская речь, структурно объединяющая внутренние разветвления нашего языка... Поэтому надо думать, что язык Руставели питает в первую очередь именно речь Южной Грузии».

Исследуя проблему языка Важа-Пшавела, ученый отверг бытовавшее в грузинском литературоведении мнение, будто поэт имел свои стихи и поэмы на пшавском диалекте и пытался утвердить в письменности диалект вместо литературного языка. Он доказал, что поэтическая речь Важа-Пшавела в своей сущности опирается на литературный язык, а диалектизмы в его произведениях выполняют стилистическую функцию.

Ш. В. Дзидзигури обнаружил и изучил собранные И. Г. Чавчавадзе фрагменты словарного материала, установил их источники и определил их значение для истории грузинской лексикографии. Ему же принадлежит словарь Ал. Казбеги, впервые приложенный к 5-томному академическому изданию сочинений писателя.

Кроме анализа языка классиков, Ш. В. Дзидзигури имеет ряд интересных наблюдений над языком современных грузинских писателей, над тенденциями развития литературного языка.

Ему же принадлежит важное исследование по истории борьбы за чистоту грузинского литературного языка, где рассмотрены взгляды грузинских писателей XIX в. и ученых по вопросам чистоты литературного языка.

Надо сказать, что борьба за чистоту языка, упорядочение и внедрение норм литературного языка занимают важное место в научной и общественной деятельности Ш. В.

Дзидзигури. Он является членом постоянно действующей государственной комиссии по установлению норм грузинского литературного языка.

О чутье исследователя и о стремлении обогатить лексику языка свидетельствует такой факт: услышанное в Картли слово *šipabeḡa* (старая дева) он подсказал известному писателю К. Гамсахурдиа, благодаря которому это удачное слово прочно обосновалось в литературном языке.

Интересным как в языковедческом, так и в литературоведческом аспекте является исследование «Понятие синонимического параллелизма» (Известия АН ГССР, II, 1941), где впервые дается объяснение происхождения одного типа синонимических пар.

В поэтической и лексикологической литературе параллельное употребление синонимических слов понимается как своеобразный стилистический прием, поэтическая фигура. Ш. В. Дзидзигури объяснил, что подобное понимание пригодно только для объяснения определенных случаев, иногда же употребление синонимов имеет «рациональное начало» и применяется в качестве приема для внедрения заимствования слова. Таким образом, следует друг от друга разграничить подсказанную требованиями стиля тавтологию и синонимический параллелизм, оправданный чисто языковыми потребностями. Ш. Дзидзигури устанавливает понятие синонимического параллелизма.

Подобно синонимическому параллелизму, Ш. В. Дзидзигури первый сделал объектом специального изучения своеобразную конструкцию предложения, для обозначения которой он же ввел термин **масдарная конструкция**. Исследование по этому вопросу в виде доклада было зачитано в 1942 году в Институте языка АН Грузинской ССР. В печати оно увидело свет позднее, в 1966 году в трудах педагогического института им. А. С. Пушкина (19-й том).

Исследование касается определенного типа предложения, характерного для древнегрузинского языка (*mivida xilvad sor-lisa miš; dasxdes serobad; bržana šenebad igi; vitxov monižebad čqalobaj*). Масдар в форме направительного падежа выступал то в качестве обстоятельства цели, то дополнения. В первом случае (*dasxges čamad*) по Ш. В. Дзидзигури имеем обстоятельственно-масдарную конструкцию, во втором (*bržana šenebad*)—дополнительно-масдарную конструкцию.

По строению масдарная конструкция — это простое предложение, но в то же время, как замечает Ш. В. Дзидзигури, отличается от обычного типа простого предложения: она выполняет функцию сложного предложения,

где масдар выступает в роли придаточного предложения.

На основании сопоставления древнегрузинских текстов разных редакций сделан вывод: масдарная конструкция и подчинительная конструкция замещают друг друга, они суть факультативной формы и отмежевываются друг от друга на основании стилистической разницы.

В связи с этим встает вопрос об историческом соотношении масдарной и подчинительной конструкций. Можно было думать, что подчинение идет от масдарной конструкции, но исследователь вполне правильно воздерживается от подобного вывода и высказывает соображение, что подчинение и масдарная конструкция восходят к сочинительной конструкции, давшей начало, с одной стороны, подчинению, с другой же — масдарной конструкции.

Из работ, посвященных истории языка, особо следует отметить «Союзы в грузинском языке», где монографически рассмотрена одна из важнейших проблем истории грузинского литературного языка.

Акад. А. Г. Шанидзе писал: «В настоящей работе автор поставил целью показ союзов в грузинском языке по памятникам литературного языка и живой речи, выявить их функции, взаимозависимость, морфологический состав и вместе с тем выявить, что дает семантико-морфологический анализ союзов для истории сложного предложения грузинского языка. Научению и обработке соответствующего материала автор посвятил годы и получил прекрасный результат: ни один специалист, исследующий вопросы грузинского синтаксиса, не обойдет книгу Ш. В. Дзидзигури и использует ее с успехом для дела. Если иметь в виду, что вопросы грузинского синтаксиса разработаны недостаточно, то надо сказать, что книга эта — безусловно важное явление в нашей науке и занимает заметное место в грузинской грамматической литературе». По мнению акад. Т. В. Гамкредидзе, «Эта работа полностью отвечает возросшим интересам к синтактико-семантической проблематике в современной лингвистической теории».

Как отмечает сам автор, вопросы, которым посвящена эта монография, вообще не были разработаны в языкознании с достаточной глубиной. «Деление сложного предложения на подчинительные и сочинительные конструкции является несколько схематическим и условным. Содержание этих понятий не сформулировано с достаточной полнотой, не определена граница между гипотаксисом и паратаксисом. Традиционное языкознание оставило нам в наследство классификацию частей сложного предложения — главного и придаточных предложений — основанную на логико-семантической точке зрения, а исследование грамматической струк-

туры сложного предложения и выявление его конструктивных элементов остались вне глубокого анализа исследователей».

Для изучения структуры сложного предложения грузинского языка и его конструктивных элементов автор задался целью выявить природу союзов и соотносительных слов, дать их функциональный, семантический и морфолого-этимологический анализ. В работе прослеживается функция каждого союза по ступеням литературного языка, а также по диалектам, устанавливается поле их распространения и вес, показано, какой союз исчез на том или ином этапе развития языка, какой появился и, таким образом, очерчены хронологические границы их образования.

В работе отдельная глава посвящена вопросам соотношения союза и сказуемого, установлены определенные закономерности, позволяющие определить, с каким союзом сочетается глагол-сказуемое в зависимости от скривы и наклонения.

В результате морфологического анализа ясно, что «в грузинском языке одни союзы местоименно-наречного происхождения, другие берут начало в частицах, третьи — в глаголе».

Отдельно рассмотрены семантико-функциональные соотношения союзов. Осуществляя функциональный анализ, автор устанавливает, что нередко один и тот же союз участвует в разных конструкциях, имеет различную семантику, являясь союзом разной типологии. Основным фактором полисемантизма является развитие союза одной формы в союз другой формы, что имеет под собой логическую основу и подчиняется определенной закономерности.

Выявление природы союза с внутренней необходимостью потребовало исследование некоторых конструктивных элементов сложного предложения, в частности рассмотрение вопроса о генезисе подчинения. Автор приходит к выводу, что в грузинском языке подчинительная конструкция вытекает из сочинительной конструкции.

В работе наглядно показано, что подчинительная конструкция довольно четко организована в грузинском литературном языке раннего периода (V—VII вв.) и является синтаксической нормой, а это означает, что к тому времени письменный язык уже имел длительную традицию. Таким образом, палеографические и стилистические критерии, показывающие глубокие исторические корни литературного языка, подтверждаются также и грамматическими данными.

С точки зрения истории картвельских языков, их взаимоотношений и их контактов с другими языками весьма важными являются этимологические разыскания Ш. В.

Дзидзигури, о некоторых из них говорилось выше. Заметим также разыскания в области осетинско-грузинских лексических взаимоотношений и выявление собственных имен нартского эпоса в горнорачинском диалекте («Грузинские варианты нартского эпоса в связи с осетинско-грузинскими лексическими взаимоотношениями»: Известия АН СССР, V, № 10, 1944), поиски следов мегрельского суффикса в грузинском (Иберийско-кавказское языкознание, I, 1946).

Ш. В. Дзидзигури в горнорачинском диалекте установил такие варианты и имена героев нартского эпоса, как Orizbegi, Batirbegi, Batoqa, Sosuani, Sosurani, Sibizi, Genze, Satana; и др.

Этимологические исследования нартской ономастики привели известного советского лингвиста проф. В. И. Абаева к выводу о том, что этот эпос возник в среде аланов, или осетин и оттуда распространился среди разных народов Кавказа. Горнорачинская ономастика также свидетельствует о связи с осетинами. В связи с этим Ш. В. Дзидзигури привлекает внимание на ряде других интересных лингвистических и фольклорных данных.

Некоторые заимствования в грузинском засвидетельствованы в более архаичной форме, чем в современном осетинском. Поэтому становится ясной их роль и с точки зрения истории самого осетинского языка.

Особо следует отметить работу Ш. В. Дзидзигури «Грузинский язык», изданную на русском и на нескольких европейских языках. В ней даны основные и существенные сведения о грузинском языке, кратко и ясно охарактеризованы его структура, путь развития, история изучения. Эта книга была удостоена первой премии в объявленном Всесоюзным обществом «Знание» конкурсе. Этой книге рецензии посвящали иностранные кавказоведы Р. Лафон, Ж. Буйон, Р. Грулих, Х. Фенрих и др.

Ш. В. Дзидзигури ряд работ посвятил проблеме взаимоотношений баскского и кавказских языков, давно вызывающей живой интерес. Его первая статья на эту тему «Грузия и испанская Иберия» была напечатана в журн. «Миатоби» в 1937 году. А сорок лет спустя, в июле 1977 года исследователю впервые предоставилась возможность побывать в Басконии в качестве члена малочисленной делегации советских ученых. Впечатления от этого путешествия изложены в книге «Путешествие в Басконию». Здесь автор не ограничивается только описанием своих впечатлений, и сообщает много интересных данных по вопросам баскского языка, культуры и истории. Но в этом отношении более значительны его книги «Баски и грузины» (1978 г.) и

«Баскско-кавказская проблема» (1981 г.). В этих книгах дан обзор исторических сведений и научных взглядов о восточных иберах (грузинах) и западных иберах (басках), дана характеристика истории, культуры и языка басков и особенно подробно рассмотрена проблема родства баскского и иберийско-кавказских языков.

Надо подчеркнуть, что Ш. В. Дзидзигури является неутомимым пропагандистом достижений грузинских языковедов. Его перу принадлежат написанные в увлекательной и интересной форме научно-популярные работы «Происхождение и развитие письма» (1958 г.), «Языковедческие беседы» (1960 г.), «Приключения грузинского языка» (1959, 1973 гг.). Здесь же следует отметить монографии о наших выдающихся ученых — Н. Я. Марре, А. Г. Шанидзе, Г. С. Ахвледиани.

Ряд работ Ш. В. Дзидзигури опубликован на русском, английском, немецком, французском, испанском языках. Не раз читал лекции в разных странах (в ГДР, ПНР, ЧССР, Франции, Испании). Научными консультациями Ш. В. Дзидзигури часто пользуются как советские ученые, так и иностранные коллеги.

Ш. В. Дзидзигури и сегодня полон неиссякаемой энергии, хорошего здоровья и готовности и дальше работать на благо отечественной науки. Нет сомнений, что он обогатит филологическую науку новыми трудами и успешно завершит многие полезные начинания.

Проф. З. Чумбуридзе

SHOTA V. DZIDZIGURI

(A Short Review of his Scholarly Work and Public Activities).

Shota V. Dzidziguri, member of the GSSR Academy of Sciences, professor of Tbilisi State University, Honoured Scholar of the GSSR, received scholarly training at Tbilisi University under the guidance of A. Shanidze and G. Akhvlediani, and subsequently at the post-graduate course of the GSSR Academy of Sciences (Leningrad) under the direction of N. Marr.

Dzidziguri was born in the village of Matkhoji, Tsulukidze district (formerly in the Kutaisi gubernia) on 15 August, 1911 into a teachers' family. His father Varlam Dzidziguri was a well-known teacher and author of textbooks.

In 1917 Dzidziguri was sent to the Matkhoji primary school, later he continued his studies at Tbilisi school 15, from which he graduated with a first-class certificate.

While a student, Dzidziguri began to collaborate with the weekly magazine „Motsapis Khma“ of the People's Commissariat of Public Education, and the „Akhalgazrda Komunisti“ newspaper.

In 1927 Dzidziguri enrolled at the department of philology of the pedagogical faculty of Tbilisi State University, and a year later entered the linguistic department of the same faculty.

In 1929 at a public meeting of the „Georgian Linguistic Society“ he read a paper on the peculiarities of the Imeretian dialect, based on interesting dialectological material he had collected.

In 1930 Dzidziguri graduated from Tbilisi State University and served for some time as a literary editor (stylist) of the magazine „Norchi Lenineli“.

In 1931 Dzidziguri was sent—together with other gifted young Georgians—to the post-graduate course of the USSR Academy of Sciences in Leningrad. He took this course under the supervision of eminent scholars—Academicians N. Marr, I. Meshchaninov, L. Shcherba, Prof. K. Dondua, and others.

While a student, Dzidziguri took part in dialectological-folklore expeditions organized by the Academy of Sciences: in 1932 to Eastern Georgia (together with G. Tsereteli and S. Jikia—both also postgraduates in Leningrad); and in 1934, to Mtiuleti and Gudamaqari (together with the postgraduates E. Virsaladze, G. Chkhikvadze and Sh. Khidasheli).

In 1933-35 Dzidziguri delivered a course of lectures on the Georgian language to post-graduates at the Institute of Language and Thinking (in Leningrad).

In 1935, in Leningrad, Dzidziguri successfully defended his candidate's thesis „An Attempt at Classification of Georgian Dialects“.

